

გეგმვა და ტექნიკა

№ 11 ნოემბერი 1959





თბილისის ჩაის ვადაწონი ფაბრიკა გადასაწონად დამზადებული ჩაის მისაღები სააგრო.

გარეკანის 1-ლ გვ-ზე: საქართველოს სსრ სამრეწველო გამოფენის
ეროვნული ხედი
გარეკანის მე-4 გვ-ზე: შოკოლადის საწარმოს მანქანა-აგრომატი
გარეკანის ფოტოები ე. ტარხოვესა

გეგმირება და ტექნიკა

საქართველოს მშენებლის კავშირი
საქართველოს მშენებლის კავშირი
№ 11 ნოემბერი 1959 წელი

საქართველოს სსრ მშენიარებათა აკადემიის ორგანო

სსრ კავშირის ენერგეტიკის განვითარების ახალი ეტაპი

ა. მუსხელიშვილი

სსრ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებით დასახული კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის, კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიდი პერსპექტივები. ამ პერიოდში პრაქტიკულად უნდა შესრულდეს ისტორიული ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

სსრ კავშირის ეკონომიკური განვითარების ყოველნაირად დაჩქარებისათვის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული უპირობესი ზრდა მძიმე ინდუსტრიის იმ დარგებისა, რომლებიც ხელს უწყობს მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომ სწრაფ აღმავლობას. ამავე მიზნით დასახულია სსრ კავშირის სათბობი ბალანსის ძირეული გარდაქმნა.

სსრ კავშირის გაანჩნა ნახშირისა და ნავთობის მსხვილი საბადოები. უკანასკნელ წლებში სხვადასხვა რაიონებში გამოვლენილია ბუნებრივი აირის უდიდესი მარაგი. მაგრამ დღემდე სსრ კავშირის სათბობ ბალანსში მაქსიმალური კუთრი წონა უკავია ნახშირს. საყოფაცხოვრებო სათბობად ფართოდ გამოიყენება შუშა. თავის დროზე მიღებული იყო გადაწყვეტილებები, რომლებიც კრძალავდა აირის და ნავთობის სათბობის გამოყენებას ელექტროსადგურებსა და სამრეწველო დანადგარების საქავეებში.

აირი და ნავთობი სათბობის ყველაზე უფრო იაფი სახეა: აირის მოპოვების თვითღირებულება 10-ჯერ, ხოლო ნავთობისა 3.5-ჯერ ნაკლებია ნახშირის თვითღირებულებაზე. ამიტომ საკონტროლო ციფრები ითვალისწინებს ნავთობისა და აირის მრეწველობის წინსვრებ განვითარებას, რის შედეგად 1965 წლისათვის სსრ კავშირის სათბობი ბალანსის სტრუქტურა მკვეთრად შეიცვლება. აირის მოპოვება ნავარაუდევია გაიზიდეს 30 მლრდ კუბური მ-დან 1958 წელს 150 მლრდ კუბური მ-მდე 1965 წელს, ანუ 5-ჯერ; ნავთობისა — 230-240 მლნ ტ-მდე, ანუ 2-ჯერ. ამავე დროს

ნახშირის მრეწველობაში გათვალისწინებულია ამოდების ზრდა 1965 წლისათვის 600-612 მლნ ტ-მდე, ე. ი. მხოლოდ 21-23%-ით. ამგვარად, აირისა და ნავთობის წილი სათბობის საერთო წარმოებაში გაიზრდება 31%-დან 1958 წელს 51%-მდე 1965 წელს, ხოლო ნახშირისა დაიკლებს 60%-დან 43%-მდე. ამასთან, გათვალისწინებულია, რომ ნავთობი და აირი გამოყენებული იქნება არა მარტო ძრავებისათვის და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, არამედ სამრეწველო საწარმოებისათვის, ელექტროსადგურებისათვის და სარკინიგზო და წყლის ტრანსპორტისათვისაც.

ჩვენი ქვეყნის ჯაზფიკაციის მიზნით იგეგმება აირსადენების ქსელის ფართო განვითარება. გარდა ამჟამად ექსპლუატაციაში მყოფი დიდი სიგრძის მაგისტრალური არსადენების (სარატკოვი-მოსკოვი, სტავროპოლი—მოსკოვი—ლენინგრადი, დუშაბე—მოსკოვი და სხვ.), მიმდინარე შეიღწეულში დასახულია 40-ზე მეტი აირსადენის შექნებლობა, საერთო სიგრძით 26 ათასი კმ. მთორის აირსადენისა ყარაღაი—აქსტაფა—თბილისი, განსტოებით აქსტაფა—ერევანი.

ყველაზე უფრო ეფექტური სახის სათბობების—ნავთობისა და აირის — უპირატეს განვითარებაზე უპირატის მიერ გატარებული ხაზი უზრუნველყოფს შარბისა და ფულადი სასტრუქის უდიდეს ეკონომიას და მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარებაზე.

შეიღწეულია გეგმით გათვალისწინებული ელექტროენერჯის გამოშვების მნიშვნელოვანი გაიზიდება: 1965 წლისათვის ის მიაღწევს 500-520 მლრდ კვტ-ს, ანუ 2-2,1-ჯერ გაიზრდება 1958 წელთან შედარებით.

ელექტროსადგურების დაწესებული სიმძლავრე შეიღწეულია უნდა გაიზარდოს 58-60 მლნ კვტ-ით. ე. ი. სიმძლავრის ნამატი 7 წლის განმავლობაში გადააპარბებს სიმძლავრეს, რომელიც მიღწეულია სამკოთა სახელმწიფოს არსებობის მთელი წლების განმავლობაში. ისმის კითხვა: როგორი მიმართულებით უნდა წარიმართოს ელექტრომშენებლობა შეიღწეულში?





როგორც ცნობილია, ყველაზე იაფ ენერგიას ჰიდროელექტროსადგურები იძლევა. მაგრამ ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობაში კაპიტალდაზღვევანი და მშენებლობის ვადები გაცილებით დიდია, ვიდრე თბოელექტროსადგურების შემთხვევაში. ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა მიტინგზე 1958 წლის 10 აგვისტოს აშხ. ნ. ხრუშჩოვმა მითითა, რომ თანამედროვე პირობებში ყველაზე მთავარია მოვიგოთ დრო, შევაძვიროთ მშენებლობის ვადები და მცირე ხარჯის გაწვევით მივიღოთ უფრო მეტი ელექტროენერგია. ამიტომ ამჟამად საქირაო რამდენადმე შეეაჩეროთ ზოგიერთ ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობა იმისათვის, რათა რამდენიმე წელიწადს, შეიძლება 7-8 წელს, პრიორიტეტი მიეცეთ თბოელექტროსადგურთა მშენებლობას. ამის შესაბამისად საკონტროლო ციფრებით 1959-1965 წლებში ჩვენი ქვეყნის ენერჯეტიკის განვითარებაში ძირითადად გათვალისწინებულია იაფი ნახშირით, ბუნებრივი აირითა და მავუთით მომუშავე თბოელექტროსადგურთა უპირატესი მშენებლობა.

თბოელექტროსადგურთა მშენებლობის დარგში ძირითადი ტექნიკური ხაზი უნდა იყოს აგრეგატების (ტურბინებისა და ქვაბების) ერთეულ სიმძლავრეთა გაზრდა, ორბიტის საწყისი პარამეტრების ამაღლება, ქვაბი-ტურბინის ბლოკების სისტემის გამოყენება და ცალკეულ სადგურთა სიმძლავრის გადიდება. უახლოეს წლებში აღდენსაკიურ ელექტროსადგურებში დაიდგება 100, 150 და 200 ათასი კვტ სიმძლავრის აგრეგატები და აიგება სადგურები სიმძლავრით 1,2; 2,4 მლნ კვტ. შვიდწლებში მწყობრში ჩადგება 40-ზე მეტი მძლავრი თბოელექტროსადგური, მათ შორის აზერბაიჯანსა და საქართველოში.

თბოელექტროსადგურთა უპირატესი მშენებლობა არ გამოირჩევა ჰიდროენერგომშენებლობის შემდგომ განვითარებას. შეიღწეულში ჰიდროელექტროსადგურებში ამუშავდება 10 მლნ კვტ ახალი სიმძლავრე, ნაკელად 7,4 მლნ კვტს-სა.

მიმდინარე შვიდწლებში ჰიდროენერგომშენებლობის სიმძიმის ცენტრი გადავა აღმოსავლეთ ციმბირში. ძირითადი ჰიდროენერგეტიკული მშენებლობა თავმოყრილი იქნება ანგარასა და ენისეიზე. ამ მდინარეებს გააჩნია უნიკალური მასშტაბისა და უღარესად ეკონომიური ჰიდროენერგორესურსები.

ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, დიდი დაქანების მქონე მდინარეთა არსებობის გამო აგრეთვე შესაძლებელია იაფ, მაღალწნევიან ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობა. მართალია, ეს სადგურები ისეთი მძლავრი და იაფი არაა, როგორც ციმბირის მდინარეები, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად უფრო ეკონომიუ-

რია, ვიდრე სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც მშენდება მდინარეებზე. ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიაში თბოსადგურებთან ერთად იგეგმება აგრეთვე ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობა. ამჟამად საქართველოს სსრ-ში დაპროექტებული ენგურის კასადი 5 საფეხურად. ამ კასადის ელექტროენერჯის თვითღირებულება ნაკლები იქნება 1 კპკ/კვტს-ზე. კასადის ყველაზე მსხვილი და ეფექტური საფეხური დამთავრდება 1965 წლის შემდეგ.

დასახულია აგრეთვე ჰიდროელექტროსადგურთა კასადის მშენებლობის გაგრძელება მდ. რიონზე, კასკადის ყველაზე მსხვილი და ეფექტური საფეხურია — ნამახვანკის. შემდგომ პერიოდში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა უფრო ფართო გაქანებას მიიღებს.

ატომურ ელექტროსადგურებს მოცემულ ეტაპზე უპირატესად ექსპერიმენტული ხასიათი ექნება. შვიდწლების განმავლობაში სსრ კავშირში აშენდება სხვადასხვა რეაქტორებით აღუზრავლი მთელი წყება ატომური ელექტროსადგურებისა. ამის საფუძველზე ამოირჩევა ატომური ელექტროსადგურების ყველაზე უფრო პროგრესული სქემები. მომავალში თანდათანობით გაიზრდება მათი როლი ენერგეტიკაში.

ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის წარმატებით გადაწყვეტის უმთავრესი წინაპირობაა ელექტროგამანაწილებელი ქსელების სიგრძის მკვეთრი გადიდება, რომელიც უზრუნველყოფს ენერგეტიკული სისტემების მოქმედების სფეროების გაფართოებასა და ადგილობრივი მნიშვნელობის წერტილი არაეკონომიური ელექტროსადგურების გამოდევნას.

შვიდწლებში განზრახულია 3-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდოს მაღალძაბვიანი ქსელების (35-დან 500 კვმდე ძაბვით) საერთო სიგრძე.

გათვალისწინებულია შეიქმნას საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილისა და ცენტრალური ციმბირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა, და აგრეთვე ჩრდილოდასავლეთისა და დასავლეთის, ამიერკავკასიისა და შუა აზიის გაერთიანებული სისტემები.

ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნა უზრუნველყოფს მაქსიმალურ მანევრულობასა და სახალხო მეურნეობის ელექტრომომარაგების ეკონომიურობას, სხვადასხვა ელექტროსადგურების ეფექტური გამოყენებას და მათი ექსპლუატაციის უხელსაყრელესი რეჟიმების განზოცილებას. ეს სისტემა შექმნის ბუნებრივი რესურსების უსწრაფესი ათვისებისა და საწარმოო ძალეობის განვითარების პირობებს, უზრუნველყოფს სამრეწველო საწარმოების სასურველ განლაგებას.

მიმდინარე შვიდწლები ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის განზრახული იდეის გადამწყვეტი ეტა-

პია. ლენინი ხაზს უსვამს, რომ ელექტროფიკაციაში არ შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ ელექტროსადგურების, ელექტროსადგომებისა და სხვა ენერგეტიკული ობიექტების აგება.

ელექტროფიკაცია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღჭურვის ის ბაზისია, რომელიც სახალხო მეურნეობის ყველა დარგს არა მარტო ავითარებს რაოდენობრივად, არამედ აიაარლებს ხარისხობრივადაც.

ელექტროფიკაციის მნიშვნელობა ვ. ლენინის მიერ ფორმულირებული იყო მის ცნობილ გამოთქმაში: „კომუნისში — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“.

მრეწველობის სფეროში ტექნიკური პროგრესის გადამწყვეტ ფაქტორებს წარმოადგენს კომპლექსური მექანიზაცია და ფართო ავტომატიზაცია, რომლებიც შეესაბამება მხოლოდ ელექტროენერჯის ბაზაზე შეიღწევის მანძილზე ამ დარგში დასახულია დიდი სამუშაოები.

თანამედროვე უახლესი ტექნიკა — ელექტრონული, რეაქტიული და განსაკუთრებით ატომური — სულ უფრო და უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს მასალათა ხარისხს, მათ სიწმინდეს.

მხოლოდ ელექტროენერჯია იძლევა საშუალებას შეიქმნას ახალი მატერიალური და, კერძოდ, მეტალურგიული საფუძველი, რაც აუცილებელია ტექნიკის პროგრესის, მრეწველობის მრავალი დარგის განვითარებისათვის. ელექტროენერჯის გამოყენება საშუალებას იძლევა წარმატებით ავითვისოთ დაბალხარისხიანი ნედლეული, განსაკუთრებით კი მრავალთიხონიანი მადანი. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია ისეთი იშვიათი გაფანტული ელემენტების მისაღებად, როგორიცაა კობალტი, ვანადიუმი, ნიობიუმი, კადმიუმი, თორიუმი, ინდოუმი და სხვ.

შეიღწეულში გათვალისწინებულია მეტალურგიისა და ქიმიის ისეთი ელექტროტექნიკური დარგების მნიშვნელოვანი ზრდა, როგორიცაა ქლორინის, მაგნიუმის, სპეციალური შენაწინების, ქლორის, კარბილ-ალკიუმის, აზოტოვანი სასუქების, სინთეზური ბოქსიტებისა და ა. შ. წარმოება.

უფრო ფართოდ იქნება გამოყენებული ლითონთა ელექტროდამუშავების პროგრესული მეთოდები — მაღალი სიხშირის დენები, ელექტროშეღებვა და ა. შ.

შეიღწევის მანძილზე დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის დარგში. კომუნისტურმა ელექტროფიკაცია ძირითადად უნდა დასრულდეს 1965 წელს. ელექტროენერჯის მიხმარება უნდა გაიზარდოს 4-ჯერ, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია მოგვეცემს დიდ ეკონომიურ ეფექტს: ანავე დროს დიდი ნაბიჯი გადაიდგება სოფლის მოსახლეობის კულტურის ამაღლებისა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეში.

მეტად აქტუალური და გადაუდებელია სოფლის მოსახლეობის სათბობით მომარაგების ამოცანა. ამჟამად საყოფაცხოვრებო სათბობის ძირითად სახეებს წარმოადგენს შუმა, უტეყო რაიონებში — წიფა. საყოფაცხოვრებო სათბობით სოფლის მეურნეობის რაციონალური მომარაგების ამოცანის გადაწყვეტაში მთავარია ამა თუ იმ მინერალური სათბობის (თხევადი სათბობი, ბუნებრივი და თხევადი აირი, ტორფი, მაღალხარისხიანი ნახშირები) გამოყენება ქვეყნის ცალკეული სასოფლო-სამეურნეო რაიონის თავისებურებითა მიხედვით.

მიმდინარე შეიღწეული რკინიგზის ტრანსპორტის ძირფეხიანი ტექნიკური რეკონსტრუქციის პერიოდია.

ელექტროფიკაცია რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკური რეკონსტრუქციის წამყვანი რგოლი იქნება ელექტროფიკაციით 2-ჯერ და მეტად იზრდება რკინიგზათა გამართუნარაიონობა, რამდენჯერმე მოიზრდება სათბობის ხარჯი, მცირდება საექსპლუატაციო ხარჯები, საგრძნობლად უმჯობესდება შრომის პირობები და იზრდება შრომის ნაყოფიერება.

რკინიგზათა ტექნიკური რეკონსტრუქციის სხვა გზა თბომავლების ფართო გამოყენება, მომავალში კი — აირტურბინებისა. ორთქლმავლების ნაცვლად თბომავლური წიფა ელექტრომავლურთან შედარებით მოითხოვს ნაკლებ ენერჯიანობას და ნაკლებ ხარჯებს, მაგრამ ჯდება უფრო ძვირი ექსპლუატაციაში.

1965 წელს რკინიგზის მთელი ტვირთბრუნვის 85-87% შესრულებდა მთლიანად ელექტრომავლებითა და თბომავლებით (1958 წელს მათი ხვედრის წილი 26% იყო შეადგენდა). ელექტრო და თბომავლური წიფაზე გადაყვანილ რკინიგზათა სიგრძე დაახლოებით 100 ათას კმ-ს მიაღწევს. შემდგომში საერთოქმავლე წიფა საცესებით რეკონსტრუქციული იქნება.

შეიღწევის განმავლობაში გათვალისწინებულია ქალაქების მოსახლეობის ცხოვრების საყოფაცხოვრებო პირობების საგრძნობი გაუმჯობესება და მათი კულტურის ამაღლება.

ფართოდ უნდა დანიერგოს ელექტროფიკაციის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები, რომლებიც მოსახლეობას უმსუბუქებს შრომას და უქმნის კომფორტს (მაკივარი, სარეცხი მანქანა, მტვერსასრუტი, ელექტროაბრეკაფ-მენდი, უთო, ჩაიდანა, რადიო, ტელევიზორი, ელექტრორაიოლო და სხვ.). გარკვეულ გავრცელებას მოიპოვებს ჰაერის კონდიციონერის დანადგარები, განსაკუთრებით ქვეყნის სამხრეთ რაიონებში. მოსალოდნელია, რომ შეიღწეულში ქალაქების კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საკირობებზე ელექტროენერჯის ხარჯი 2-ჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზრდება.

დიდად განვითარდება ქალაქების თბოფიკაცია. შეიღწევის ბოლოს საბჭოთა კავშირის ქალაქებში თბო-ელექტროენერჯისა და უზრუნველყოფილი იქნება



ცენტრალიზებული თბომომარაგებით მთელი საცხოვრებელი ფონის 25-30%.

ბუნებრივი აირის ბაზაზე ყოფა-ცხოვრებაში ფართოდ გავრცელებმა განხილავითა. ფართოდ იქნება გამოყენებული აგრეთვე გათხევადებული აირით მომარაგება (აირბალონური განხილავით).

სსრ კავშირის თბოენერგეტიკული ბალანსის გარდაქმნა, რომელიც გათვალისწინებულია შეიღწეოს.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები

ზიგარაზიული დეჟაფოსკოპი

მრეწველობაში ხშირია შემთხვევა, როცა ნაკეთობის ხარისხის კონტროლი, მასში შენაკანის დეფექტების გამოძიება და დიდი სიზუსტით შეუძლებელია. ანალიზი იყო, მაგალითად, დადგენილიყო არსებობა განწვევის, რომელიც წარმოიქმნება ლითონისა და დეფექტის შორის, თვით დეფექტის შეიქმნა, დამკვეთი და სითვისაბოლოაყო დაფარვის სხვადასხვაგვარ სახეებში.

გამოიყენა რა ის გარემოება, რომ სხვადასხვა ნაკეთობას, რომლებიც დეფექტის შეიქმნა, აქვს საერთო რბევის სპეციფიკური ნიშანები, ბელორუსის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. აკოლოვმა შეიქმნა ერთად შეიშოვა ნაკეთობათა ხარისხის შესამოწმებელი ახალი ხერხი, რომელსაც ვიზრაციული დეფექტოსკოპის მეთოდს უწოდებენ. მათვე შექმნეს სპეციალური აპარატი — ვიზრაციული დეფექტოსკოპი. ასეთი აპარატის ძირითადი ცნაობებია: ელექტრული ურტატი, გადაწოვილი მასზე მიმარებული ვიზრაციული და საზომი ხელსაწყო.

როცა ურტატი ურტყამს ნაკეთობას, მის შიგნით წარმოიქმნება ადგილობრივი, თავისუფალი რბევა. ისინი ზემოქმედებს მოახდენს პიკოლოგურულად გადაწოვილ მასზე, რომელიც შექმნილი კიდევ ელექტრულ ძაბვას საზომი ხელსაწყოში.

დეფექტების არსებობისა წარმოქმნილი დამახასიათებელი რბევის ურტი ნაოლად გამოსაყოფად აპარატზე დადგეულია სპეციალური სანარკევი — დროის რულა და სიხშირის ფლტერი. ისინი გზას უღობავენ გადაწოვილსავე ყველა იმ რბევას, რომლებიც წარმოიქმნება ურტატის დარტყმის მომენტში. მხოლოდ დარტყმის შემდეგ წარმოქმნილი თავისუფალი რბევაში ძლიერდება და გადაეცემა საზომ ხელსაწყოში.

ნაკეთობა გამოკვლევის ახალი მეთოდი ფართო გამოყენებას მოიპოვებს მრეწველობაში. იგი წარმატებით იქნება გამოყენებული ფაბრიკა და კრამაქალ ნაკეთობათა ხარისხის გამოსადეგლად. ის შესაძლებლობას

მოეცემა განისაზღვროს სითვის დივე დახურულ ჭურჭლებში. აღმოვაჩინათ ლითონის ცილინდრების, რეზერვუარების, საწვლავი გემების და სხვა ტექნიკურ საშუალებათა კოროზია. საწარმოებში ჩატარებულმა ფართო გამოცდებმა გვიჩვენა ახალი დეფექტოსკოპის დიდი ეფექტურობა და საიმედოება მუშაობაში.

ACF-38 გვიჩის აკრობაგოვიჩიკური საღებავი

ასეთი საღებავის დანიშნულებაა თვითმფრინავიდან სასარკველო მანქანების სახალოებს სწრაფი ძიება მათი რაღაობაჭერად და მაგნიტური გამოილენების საუბეველზე.



საღებავის კვება წარმოებს თვითმფრინავის ელექტროქსევის დინით, 26 ვოლტი ძაბვით; საღებავი მუშაობისათვის მოითხოვს 27 ამპერ დენის ძალას. მისი საზომი წონაა 170 კგ.

პროგრამული მართვის ჩარხები

ოღვის სპეციალური საკონსტრუქტორი ბუროს მუშაობაში წესის ერთობლივ წამყვანი ადგილი დაიკავებს მანქანებში პროგრამული მართვის.

რადიალურ საპროგრამო ჩარხების ტანხის რიყნართა პროექტი შექმნილია ჩარხის ინმლებშიავე კორდინატული მაგიდის კადანაც-

გეგმით; უზრუნველყოფს სახსრების უტრეხის უკონტროლად, რომელიც საშუალებას მოეცემა მრეწველობაში გავრცელებული კაპიტალდამანდებანი ენერგეტიკის გასავითარებლად.

ენერგეტიკის დარგში დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირი დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ კომუნისტების მშენებლობის გზაზე.

ლუბა ლტალი და მისი საკური წერტილში დაღმა ხორციელდება ავტომატურად, წინასწარ დასაწავი პროგრამით. კორდინატების აგრეთვე შეიძლება იწარმოოს ან წინასწარ ტრედიონის ტიპის სანამოო სისტემაში, ან მუშაობის პროცესში — პერფორირებული ლენტის დახმარებით. უკანასკნელ შემთხვევაში დიდ სისწრაფით მუშაობა 50-100 ზრელო.

საკონსტრუქტორი ბუროს მიერ დაპროექტებული კიდევ ორი ჩარხი პროგრამული მართვის. ერთ-ერთი მათგანის — მაღალი სიზუსტის სახარტის ჩარხის — დამზადებას შეუდგა ოღვის სავლელი-მეკანიერი ქარხანა. ამ ჩარხზე დგებალების დამუშავების ყველა ოპერაცია, მონდვლების ბრუნვის სიჩქარის ცვლის ზაოლი, მჭერლის მიწოდების სიღრმე, ჭრის სიღრმე, საღებავიდან ვადასვლება და სხვ., ხორციელდება მუშების ჩაერკვლად მუშის შეუღლია მოქმასხროს რამდენიმე ასეთ ჩარხს. მიღებულია მუშაობის ორი ციკლის — პროგრამირების სისტემა შეიღ და სუფთად გაჩარხებისა. ესენი შეიძლება იწარმოოს როგორც ცალ-ცალკე, ასევე თანამდევრობით. ავტომატური გადასვლები ერთი სიკლიდან მეორეზე.

ბოჭკოს ბელოსაყოფად

კაბეტი, რომელიც გამოიყენება სელის გადაწვების შემდეგ, შეიცავს ბოჭკოების მნიშვნელოვან რაოდენობას. აქამდე ამ ბოჭკოს გამოყოფა შეუძლებელი იყო.

ნელუ არ შეიძლება გამოიყენოს საშუალება, რომ კაბეტი დარჩენილი ბოჭკო გამოიყოს? ასეთი სიხება დღესეა თავის თავს ესტრინების რესპეზილიერი სელის ტრესტის მთავარმა მენეჯერმა ი. ს. სულაბაძემ. დიდა ხნის ძიების შემდეგ მან შექმნა ელექტური ბოჭკოგამომყოფი მანქანა.

კონსტრუქტორებმა მანქანა უზარალად შეიქმნა და მზადდეს ნებისმიერი სელის ქარხნის მექანიკურ საბელონოში.

სულხან-საბა ორბელიანი

რ. ბარამიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

„ჩემს უკან, ღმერთმა ქნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქმნასო“. — ამბობდა აწმყოთი სასოწარკვეთილი სახელოვანი ქართველი მამულიშვილი სულხან-საბა ორბელიანი. ქართული მწერლობის ისტორიას, დიდი ილიას გამოკვებით, არ შემოუნახავს მეორე ისეთი აზრბელი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანს შეედრება ენერგიული და ფართო მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწეობით, მეცნიერული და შემოქმედებითი საქმიანობით. სამშობლოს ავებდობით ტანჯული სულხან-საბა დღენიადაც საოცარ ენერჯიასა და გამჭირაბობას იჩენდა მშობლიური ქვეყნისათვის ხრუნვაში. ის უღარესად აქტიური იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში: დაწესებული სახელმწიფოებრივი საქმიანობით, გათავებული მეცნიერებითა და მხატვრული შემოქმედებით. ზემოთ მოყვანილი სულხან-საბას ამონაკუნისი არა მარტო დიდი ჰუმანიურობის მათყუებელია, არამედ მინიშნებაა იმ გულსტიკიულზეც, რომელსაც განიცდიდა მშობლიური ქვეყნის უსასო მდგომარეობით დიდი მოქალაქე და შემოქმედი.



სულხან-საბა ორბელიანი

ქართული სიტყვის შესანიშნავი ოსტატი სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა 1658 წლის 4 ნოემბერს (ახალი სტილით) „დიდ“ ორბელად წოდებულის ვახტანგ ყაფლანის-ძე ორბელიანის ოჯახში.

ერისთავის ასულმა თაპარმა და ვახტანგმა მეტად კულტურული ოჯახი შექმნეს. ორივე კოლქმარი მწერლობის დიდად მოყვარული და ხელის შეწყობი იყო. ვახტანგს ჰყავდა 11 შვილი, სამი ასული და რვა ვაჟი (სულხანი, ერასტი, ვახუშტი, ყაფლანი, ზურაბი, დიმიტრი, ნიკოლოზი, ზაალი). ბევრი მათგანი შემდეგში ცნო-

ბილი საზოგადო-მოდეწე და მწერალი გახდა. სულხანი ოჯახშივე გაეცნა მშობლიურ ლიტერატურას და დიდი მონდომებით შეისწავლა იგი.

ღრმად განსწავლული და მეფის კართან მეტად დაახლოვებული სულხანი ადრევე ჩაება სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. სულხანს მოღვაწეობის დაწყება მოუხდა ჰეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში. XVII საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა მეფის ტახტისათვის. ერთი მხრივ, ჰაარსეთის შაჰის ენერგიულ ჩარევას მეფის კანდიდატურის შერჩევაში და, მეორე მხრივ, გავლენიან ფეოდალთა აშლილობას ქვეყანა უკიდურეს მდგომარეობამდე მიჰყავდა. ასეთ გარემოებაში დიდ პატრიოტს, სულხან-საბას, არ შეეძლო გულდამშვადებით ედევნებინა თვალუფრი, თუ როგორ წარიმართებოდა მშობლიური ქვეყნის ბედი. ამიტომ ის აქტიურად ჩაება სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. სულხან ორბელიანი სპარსეთის ორიენტაციისა და გამაჰმადიანებული ნაზარალიხანის წინააღმდეგ მებრძოლი გიორგი XI-ის აქტიური თანამოღვაწე იყო. გიორგი მეფეს სულხანი უახლოეს მრჩეველად ჰყავდა და ეს უკანასკნელიც არ ზოგავდა დროსა და ენერჯიას სპარსეთის უღლისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, მაგრამ ნაზარალიხანი შაჰის მხარდაჭერით გამტკიცდა ქართლში. გამაჰმადიანებულმა ნაზარალიხანმა ქართლში ახალი წესები შემოიღო, დიდ პატივში ჰყავდა ყოზილბაშები, გიორგი მეფის მომხრეებს სასტიკად ავიწროებდა: „ამიკრებდა ერთგულთა მეფის გიორგისათა“. ღილო ეს უკანასკნელი იძულებული შეიქმნენ იმერეთში



გადაზრუნულიყვნენ. გიორგის დამარცხების შედეგად სულხანი ახალციხეს გაიქცა და სიმეორის ოჯახს შეაფარა თავი. გაზრუნული სულხანი იქვე განაგრძობდა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას, ცდილობდა გიორგისათვის მოკავშირეები მოეპოვებინა. მიზანსაც მიაღწია: სულხანმა ამათგან გადღობიბრა და გიორგი მეექვსე ვაჟურთულა. ამით განრისხებულმა ნაზარალიზანმა სულხანს ქართლში მამულები ჩამოართვა და სხვას უბოძა.

სულხანი თავისი პოლიტიკური იდეალების განუხორციელებლობის გამო ვადაწყვეტს თავი შეაფაროს მონასტრის კედლებს და, მართლაც, 1698 წ. 18 მარტს ბერად აღიკვეცა გარეგნად უდაბნოში. უღრესად ენერჯული და ვაჟკარაიხი პოლიტიკური მოღვაწე, აღსასვე მოქმედების სურვილითა და შესაძლებლობით, იძულებული შეიქნა ბერის სამოსით მონასტრის მშვიდ ცხოვრებას მოსცემოდა. მაგრამ სულხანის დაუცხრომელ ბუნებას, მოღვაწის ცეცხლით აღგზნებულ მამულშიველის როდი შეეძლო უმოქმედოდ ყოფნა. მან გამოიკვალა მოქმედების ასპარეზი, მაგრამ მიზანი იგივე დარჩა — ემორღებინა სამშობლოს საკეთილდღეოდ და მონასტრის წყნარ კედლებში გაშალა დიდი მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობა. აქ შექმნა მან ქადაგებათა ბრწყინვალე კრებული „სწავლა-მოძღვრებანი“. აღნიშნული თხზულება მეოთხეულს ხიბლავს ავტორის დრმა აზროვნებით და საოცარი მჭერმეტყველური უნარით; ეს არის ორატორული ხელისუფლების ბრწყინვალე ძეგლი. ქვეყნის მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობით მონასტრის შეფარებულ სულხანს აღნიშნულ თხზულებაში რელიგიური საკითხების გვერდით იძლევა იმდროინდელი ყოფნის დრმა ანალოზს და სახალხო ტრიბუნის გამგებლობით ამხელს თანამოქალაქეთა მანკიერ თვისებებს, რომელთა წყალობით საქართველო გადაგვართვს პირას მივიდა. სულხან-საბა მოურედიდებლად. აწიშვლებს საერო და საეკლესიო პირთა ზნედაცემულობას, დაუნდობლად ამთარახებს „უჟამთა მჭვრეტთ“, ე. ო. თანამედროვე ფეოდალებს, რომელნიც მამკადიანობის მიღებით თანამდებობრივ მდგომარეობას იუმპობესებდნენ. საბა რისხვით მიმართავს ანგარებით აღსავსე ფეოდალებს: „თქვენ წაწავალთ მცირედისა ნიჭისათვის, გინა მუხომელთა შურისათვის და ნებსით თვისით დაუტყვევებ სჯულსა ქრისტისას“, მაგრამ აბა დაუკვირდით „ვის დაუტყვევდა და სადა წარჩვალთ?“ და განაგობობს: ნუთუ ვერა გრძნობთ, რომ სამშობლოს მოღალატენი ხვებით? უფუფუნრო, ოჯგუნრო და მოშეშარრო, ხომ არ გგონიათ ამით თქვენ საუფუნო დიდებას მოიპოვებთ. თქვენ ვერაფრით გაიმართლებთ თავს, თქვენი განდგომა არც სიღარიბისა და გლახაკობის ბრალად, არც მტერთა მოძალდებისა. ამის გაძვება შეიძლებოდა. თქვენ სიმდიდრემ მოგზიბილათ, ოქრო-ვერცხლი შეგაცდინათ; ისილეთ „მდიდრისა ვისიმემ დასისხლო ბრწყინვალეთ; სტავრა ანუ ოქროქსოვილი, შურისაგან მისისაგან აღივსეთ“ და სიმდიდრის მოტრფიალენი სამშობლოს მოღალატეებად იქეციეთ. სულ-

ხან-საბა ცდილობს გამოაფხიზლოს, შეაფაროს, თვალთაფილოს სამშობლოს ვაჟიდეველებს. მოქმედა მოღალატეებს: „განიღვიმენით ძილსაგან შიშისა, ნუ განსტყრებით შეგებია“.

„სწავლა-მოძღვრებანი“ დრმა პატრიოტიზმით გამსჭვალული ნაწარმოებია. სულხანის ფხიზელ თვალს არც სოციალური უკუღმართობა გამოპარვია. ის მოურედიდებლად ამხელს მრისხანე და უსაბარლო მეჭურთნებს. მათ შესახებ ამბობს: „მეპატრონენი ქვეყნისანი, სისხლსა ყმათასა და მთხვენი, რათა თვით შეიძინონ მსახურებთა მათითა, არა თუ თვისი სისხლი დასიბიონ მონათა თვისათვის“. სულხანი ვერ შეგუებია მეჭურთნეთა გამდიდრებას სხვათა ჩაგვრის ფეხებით. ჰუმანისტ მწერლის საწინელ არადადამიანობად მიაჩნია მშრომელთათვის ფიზიკური სასყელის მიყენება: „თქვენ სდევნით გლახაკთა, რომელნიც სცემთ მოყვასთა თქვენთა ხელთა, რომელნიმე წიხლითა“. საბა აღწერს გულხაკთა აუტანელ მდგომარეობას და საერთოდ იძლევა იმდროინდელი სინამდვილის მეტად რეალისტურ სურათებს.

ამრიგად, სახელმწიფო საქმიანობას დროებით ჩამოიკლებული და გარეგნის უდაბნოში დამკვიდრებული სულხან-საბა უფრადლებას ამხვილებს თანამემამულეთა ვითოვრ მხარეებზე და ზრუნავს მათ ზნეობრივ დახვეწაზე, რაც მიაჩნია სამშობლოს კეთილდღობის საფუძველად. უშრეტი ენერგიისა და დიდი სახელმწიფოებრივი გაქანების სულხან-საბა დიდი ხნით ვერ შეეგუებოდა მონასტრულ მშვიდ ცხოვრებას და უცდიდა შესაფერის პოლიტიკურ სიტუაციას, რათა კვლავ ჩამულოყო სამშობლოს ბედისთვის გადამწყვეტ პოლიტიკურ საქმიანობაში. ამ დროისათვის შაჰმა თათქოს საბოლოოდ შემორიგა გიორგი XI და მეტად იმყოფილი იყო იმ დახმარებით, რომელიც გიორგიმ გაუწია მას ავღანელებთან ბრძოლაში. შაჰმა გიორგის აღუქვა საქართველოში დაბრუნება, ოღონდ ავღანელები დამიურვეო. გიორგის ლაშქარში მყოფი ქართველები სიხარულით წავიდნენ ქირმანის დასაცავად, რადგანაც შემდეგ მოიპოვებდნენ საქართველოში დაბრუნების უფლებას. ისინი ამბობდნენ: „არა ქირმანისათვის, არამედ საქმისა და წყალობის გამობრუნებისათვის... ქართველები ზღარული სიმამაკით იბრძოდნენ, მაგრამ გიორგი XI მტრებმა მოღალატურად მოკლეს. სპარსეთშივე დაიღუპა ქიბოხრო. ქართლის გამეფებლობა ვახტანგ VI-მ მიიღო.“

ვახტანგი აღზარდა სულხან-საბაში. ის იყო დიდად განათლებული მწიგნობარი, გონიერი და ვაჟკარაიხი მმართველი, მართმსაჯული გამგებელი, ნიჭიერი პოეტი და დახელოვნებული მთარგმნელი. მისი მეფობის დროს საქართველო ეკონომიურად მომძლავრდა და კულტურურად აყვავდა განიცდა. შაჰმა ვახტანგ VI დაიბარა და გამამპალიანება მოთხოვა. ვახტანგი არ დათანხმდა. ამავე დროს გრანობდა, რომ ის და მისი სამეფო დიდი საფრთხის წინაშე იდგნენ. ამიტომ გადაწყვიტა ევროპაში ექლის გაგზავნა და იქაურ ხელისუფალთაგან დახმარე-



ბის თხევა არჩევანი, ბუნებრივია, სულხან-საბა ორბელიანზე შეწერდა.

1713 წ. 17 აგვისტოს სულხან-საბა დიპლომატიური მისიით ევროპაში გაემგზავრა. ქართველი დიპლომატის მიზანი იყო რომის პაპი და საფრანგეთის მეფე დიდილოვიკი XIV დაინტერესებოდა საქართველოში, დაესახა რომის პაპისა და საფრანგეთის მეფისათვის ის პერსპექტივები, რომელნიც მათ დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკვებობას მოუტანდათ საქართველოსთან მჭიდრო კავშირის დამყარებით. ამ გზით საქართველო შეძლებდა სპარსეთის გავლენისაგან თავის დაღწევას. იმისათვის, რომ უფრო მეტი რეალური საფუძველი ქონოდა საქართველოს ევროპასთან დაახლოვებას, სულხანმა გადაწყვიტა კათოლიკობის მიღება და აღუთქვა კათოლიკე მისიონერებს საქართველოში დიდი დახმარება.

საფრანგეთში ჩასულმა სულხანმა, აუწყურა რა: ლუდოვიკოს საქართველოს მიმე მდგომარეობა, შეეცდრა ისპანიაში ტყვედყოფილი ვახტანგ VI, საქართველოს მეფე ვახტანგი ისპანიაში და საქართველოს ერთიანად გამაჰმადიანება მოეღის და დიდ განსაცდელშიაო. საფრანგეთში გულისხმიერებით მოუსმინეს სულხანს, პატივისცემითა და ღირსებით მიიღეს დარბაისელი და ბრძენი ქართველი დიპლომატი, მაგრამ მან კეთილი სურვილების გარდა ვერაფერი წამოიღო ევროსაიდან.

5 ივლისს სულხან-საბა ორბელიანი ეახლა რომის პაპს. მაგრამ რეალური დახმარება არც რომისაგან მიიღო, ხოლო პაპის ლოცვა-კურთხევა საქართველოს მდგომარეობას ვერ ამსუბუქებდა. ბრძენი ქართველი დიპლომატი დარწმუნდა, რომ პაპისა და ლუდოვიკო XIV-ის კეთილი სურვილები არ იყო საკმარისი საქმის გადაწყვეტისათვის, ვერც საფრანგეთი და ვერც რომი ვერ ზედავდა სპარსეთთან ურთიერთობის გამწვევებას.

ქვეყნისათვის დიდად მოჭირნახულ მსოფლიო დიპლომატი იმედგაცრუებული გამოემართა საქართველოსაკენ. გზაში, განსაკუთრებით სტამბოლიდან საქართველომდე, დასწვლულზე სულხანმა საოცარი ტანჯვა-წამება განიცადა. ავახა თურქთაგან შეურაცხყოფილი და გაძარცვული აღმოჩნდა, ასე ნავევნი-ნატანჯი შემოვიდა ის სამშობლოში. სულხანმა მისთვის ჩვეული ოსტატობით ააწერა თავისი დიპლომატიური მისია შესანიშნავ ნაწარმოებში „მოგზაურობა ევროპაში“. მკითხველს ხიბლავს ავტორის წერის მანერა, დიდი და ღრმა დეტალები უნდა. მის მახვილ თვალს არ გამოერჩენია არამც თუ არც ერთი ფრესკა შესანიშნავი რომაული ტაძრებისა, არამედ აღნუსხული აქვს ამათუიმ სასახლის კიბის საფეხურთა რაოდენობა; ის ერთნაირი გულმოგონებით უეკრიდებოდა და სწავლობდა როგორც არქიტექტურულ დეტალებს, ისე ხალხთა ყოფასა და ზნეობას, როგორც სამხედრო საქმეს, ისე პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობას. ყოველივე ეს აღწერა აქვს საოცარი სისასიზისა და დამაწმუნებლობით, მსუბუქად და მიწვიდვლად.

ევროპიდან დაბრუნებულ სულხანს მეტად მძიმე და რთული პოლიტიკური სურათი დახვდა საქართველოში. სპარსელთა მომძლავრებამა და შინაური აშლილობის გაძლიერებამ კიდევ უფრო დაეძაბუნებინა სამშობლო.

ევროპაზე იმედგაცრუებულმა ქართველმა პოლიტიკოსებმა და განსაკუთრებით ვახტანგ VI-მ კმარა რუსეთზე აიღეს, მისი უფრო, რომ რუსეთის იმპერატორი პეტრე პირველი სპარსეთზე გალაშქრებას აპირებდა და ქართლის მეფე მეტად სასარგებლო მოკავშირედ მიაჩნდა.

მაგრამ ჩრდილოეთიდან შვედების შემოტევის გამო პეტრე იძულებული შეიქნა შეეწყვიტა მოქმედება სპარსელებს წინააღმდეგ. ვახტანგი პარო შერჩა სპარსელებს. რუსეთისათვის მხარდაჭერის გამო შაჰმა მას ქართლი ჩამოართვა. დრო იხელავს ლევენმა და ოსმალებმა და თბილისს შემოესივნენ. ვახტანგს ქართლში აღარ გაეძღვებოდა და 1724 წ. რუსეთისაკენ გაემართა. ვახტანგს თან გაჰყვა მსოფლიო სულხან-საბა ორბელიანი. მრავალნათანჯი დასწვლული და სიბერით დაუძლეული სულხან-საბა ორბელიანი გარდაიცვალა მოსკოვში 1725 წ. 26 იანვარს. მისი ძმის, დიმიტრი ორბელიანის სიტყვით, „ფრიად მაშვრალი მუშაო, მოკვდა, დაეფლა რუსთ ველსა“. ასე დასრულდა დაუშრეტელი ენერჯის სახელმწიფო მოღვაწის, უნაგაო და თავგანწირული მამულიშვილის, დიდი მეცნიერისა და ქართული სიტყვის უნადლო ოსტატის, ბრწყინვალე პროზაიკის, სულხან-საბა ორბელიანის მეტად ნაყოფიერი ცხოვრება.

სულხანის ქალამს, ზემოთ აღნიშნულ ნაწარმოებთა გარდა, ეკუთვნის შესანიშნავად შედგენილი ლექსიკონი, ანუ „სიტყვის კონა“, რომლის მართებულ შეფასებას იძლევა პროფესორი ა. ჩიქობავა: „სახას ლექსიკონი ნამდვილი საუნჯეა ქართული ენისა... სიტყვითა განმარტება სადაა და არსებობს ეფთხად გახაზავს. განმარტების სიმკვეთრე-სიზუსტისა და ლექსიკოგრაფიის ზოგადი საკითხების გაგების მხრივ საბას ლექსიკონი შესანიშნავი ნაწარმოებია.“

ლექსიკოგრაფიის ზოგადი საკითხების გაგების მიხედვით საბას ლექსიკონი უფრო მაღლა დგას, ვიდრე იმდროინდელი ფრანგული აკადემიური სალექსიკონო შრომებია.“

არა ნაკლებ ნაყოფიერებას იჩენდა ის პოეზიის სფეროში. მას ეკუთვნის რამდენიმე შესანიშნავი მაღალმხატვრული ლექსი და სპარსულიდან ნათარგმნი იგავ-არაკთა კრებული „ქილილა და დამანა“, მაგრამ სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების შედეგად არის ქართული პროზის სიამაყე და მსოფლიოში ერთ-ერთი უბრწყინველესი ნაწარმოები — „სიბრძნე-სიკურისა“.

სულხანის მიერ სათაურნივე ჩადებული აზრის სიღრმე უკანასკნელი სამი საუკუნის მაინც სხვადასხვაგვარად იქნა გაგებული, მაგრამ ყველაზე მართებულად გა-



გება მოგვცა ი. ჭავჭავაძემ: „საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაკია, იგავია, ოღონდ ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. სიცრუე თითონ ამბავია, სიბრძნე შიგ ჩასახული აზრი“. ამ ცრუ ამბავით, იგავებით სულხანმა სისრულთა და სიმკვეთრით დაგვიხატა ამდროინდელი საქართველოს სურათი. ერთი მხრივ, სასტიკად გამოაშვარავა და ამხილა თანამედროვეთა ანგარება და მანკიერება, ხოლო, მეორე მხრივ, მოგვცა ბრძალული დარბევბა საზოგადოების ზნეობრივი დასვეწის მიზნით. სულხან-საბას წიგნში აღმაინის ზნეობრივ ნაკლოვანებათა ვრცელი სურათია გადაშლილი. მისი დაძინების საგანია ანგარება და სიმხდალე, მრუფობა და სიძენწე, მედიდრობა და სულმოკლეობა, პირფერობა და მეშურნობა, ვერავობა და გაუტანლობა. დიდი მოხელეებისა და კარისკაცების მანკიერების მხილვასთან ერთად სულხან ორბელიანი სასტიკად ქირდევს წერილი მოხელეების ბოჭყერ საქმიანობას. მხვილი იგავ-არაკებით ავტორი აშორახებს ავ მოურავებს, გაიძევრა მამასახლისებს, წურბელა გზირებსა და ა. შ. სულხანი არ ინდობს არც სამღვდელოებას, ამხელს და ჰეციხავს სამღვდელოების ფარისევლობასა და მსუნავობას, მწვერალი ამიშვლებს ბერად შედგომის პირფერულ მხარეს („მელა მოძღვარი“). ვაჭრულ-ჩარჩული საზოგადოების წარმომადგენლებს სულხანი ხატავს ძუნწებად, გაუმძაღრბად, ხაზბებად, ზნეობაშეუახლებად („უფიქროსი დიდვაჭარი“). სულხანის მიერ ასახულია საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენისა და წრის ყოფა-ცხოვრების უარყოფითი მხარეები. ავტორი არ არჩევს დიდსა და პატარას, მეფედან მოკიდებული ხელისხამედ თანბრად სუსხავს ყველა უზნეო მოქალაქეს.

სულხან-საბა ორბელიანის დაკვირვებით, პატიოსნება, გულწრფელობა, ზნეობრივი სიფაქიზე, უხაკელობა და საერთოდ დადებითი თვისებები შერჩენილია უპირატესად საზოგადოების დაბალ სოციალურ ფენებში.

სულხანის იდეალია სრულყოფილი პიროვნების აღზრდა. ყრმის სპარტანული წვრთნა, მასში სალი ზნეობრივი ინსტიტუტების დანერგვა „სიბრძნე სიცრუის“ მთავარი მიზანს შეადგენს. ყმაწვილის აღზრდას საფუძვლად უნდა დაედოს შრომა, გარჯა, ფისიკური გაწაფვა. ყოველივე ეს, სულხანის რწმენით, აპირობებს მოზარდის როგორც სულიერი ცხოვრების ნორმალურ განვითარებას, ისე გონებრივად მომწიფებას. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს სულხანი უფლისწულის აღზრდას, რადგან შრომამ, დიანჯ, ბრძენ და განსწავლულ მეფეზე მეტადაა დამოკიდებული ქვეყნის კეთილმდგომარეობა, უწყვრთნელ მეფეს შეუძლია თავის ხალხს დიდი ზიანი მიაყენოს. საყურადღებოა, აგრეთვე სულხანის მეტად გაბედული აზრი აღმაინის პიროვნული ღირსების შესახებ. კერძოდ, თუ აღმაინის საკუთარი ღირსება არ გააჩნია, გვარიშვილობა მას ვერაფერს მოუტანს, კიდევ მეტი, ჭკვიანი მწყემსი უმჭობესი არის უგუნურ მეფეზეო, ხოლო უღირს მეფეს

მოურიდებლად მიმართავს: „თუმცა ყმწყრე ქველმოყრუნნი გყვანა იგინი ამეფე და შენ მათ დაეწყუფელ... ქმწყრე შურის წასვლა ფეოდალური ეპოქის მოაზროვნისაგან წარმოუდგენელია.

სულხან-საბას ჰუმანისტური მსოფლმხედველობა სათავეს პუბლიკის რუსთაველთან და ამით აისსნება, რომ მან ამხანაგობა-მეგობრობას მოუძღვნა შეუღარბებლად მაღალგრძნობიერი, ამაღლებული, მხურვალე პათეტიური ჰიმნი:

„ქარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვებენ, გზახედ ცუდად არ იშოვებენ, იათად ვერაგინ იყიდის, ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურთველია.

ამხანაგი ლხინი ფრიადა, სიხარულთა გამამიდძრებელია, სუფრათა შემამკობელია.

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბელია. ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ჭართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემამკეველია.

ამხანაგი ჭირში მომხმობია, სნეულებში მკურნალია, სიცილიში თავის წამგებია.

ამხანაგის უკეთესს შენ რას იშოვნი?“ მეგობრობისადმი ეს შესანიშნავი მიძღვნა, რომ სულხანს შირის საზოგადოებაში დაეწერა, ავთანდილის ანდერძის ორგანიზულ ნაწილად გაეცხრებდით, იმედნად უშუალო კავშირშია ერთმანეთთან რუსთაველისა და სულხანის მიერ მეგობრობის გაგება. სულხან-საბას ასეთი სიახლოვე რუსთაველთან გამოქვეყნული ქართული სიტყვის ამ ორი დილისტიკის ჰუმანისტური მსოფლმხედველობითი ერთიანობით. სულხანის ნაწარმოებთა პროგრესულ აზრებთან, ჰუმანისტური მსოფლმხედველობასთან ერთად გვიხილავს მდიდარი პოეტური სახეები, მაღალმატერული ენა. დიდი ქართული მეიგავე, სულხან-საბა ორბელიანი ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორია. ზომიერების მკაცრი გრძნობით გაულო მან კარი ხალხურ ფორმებსა და სიტყვებს მწიგნობრულ ენაში. რამდენიმე მოკლე წინადადებათ სულხან-საბა ორბელიანი ახერხებს სურათის მკვეთრად წარმოდგენას.

სულხან-საბა მერისმეტი სიფრთხილითა და მიზანდასახულად ეპყრობა ყოველ სიტყვას, ამავე დროს იჩენს ნოვატორთათვის ჩვეულ ვადეულვებას წინადადებათ თავისებურად გამართავში. ის მოხდენილად და ზომიერების თიღად გრძნობით კვეცს ფრანას, მაგარს სურათის მათნე თვალმომბრელობით. ამით აიხსნება ის დიდი ემოციური ძალა, რომელიც გააჩნია სულხან-საბას ნაწერებს.

ფსადაულებელია სულხანის ღვაწლი სამშობლოს კეთილდღობის საქმეში და განუზომელია მისი მნიშვნელობა მშობლიური მწერლობის განვითარებაში. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული სიბოთით, სიყვარულთა და სიამაყის გრძნობით აღნიშნავს მდიდერი სამშობლო სახელოვანი წინაპრის დაბადებიდან 300 წლისთავს.



„ლენინი“

99

კაცობრიობის ისტორიამ არ იცის მეცნიერული აზრის ისეთი კეშმარტივად გასაოცარი მიღწევები, როგორც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა უკანასკნელი წლების მანძილზე. მთელი მსოფლიოსათვის კარგადაა ცნობილი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაების წარმატებანი ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, ელექტრონიკის, ავტომატიკის, ატომური ენერჯეტიკის, რეაქტიული ავიაციისა და რაკეტული ტექნიკის დარგში.

საბჭოთა აღამიანების ნაყოფიერმა შრომამ სინამდვილედ აქცია აღამიანთა მარადუკნობი ოცნება საწყაროს დაპყრობის შესახებ. ჩვენს ქვეყანაში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრების შექმნა, პირველი საბჭოთა კოსმოსურა რაკეტის გაშვება, რომელიც მზის სისტემის პირველი ხელოვნური პლანეტა გახდა, მთავარზე კოსმოსური რაკეტისა და, ბოლოს, ავტომატური საპლანეტოთმორისის სადგურის გაშვება, რომელმაც გაიარა მთავრის ახლოს და მთვარეს შემოუფრინა — მთელი ეპოქა კაცობრიობის მეცნიერული ცოდნის ჯანვითარებაში. მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღტაცებით აღნიშნა საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრების, ტექნიკოსების, მუშების, მთელი საბჭოთა ხალხის ეს გამარჯვება, რომლითაც დაიწყო ახალი ერა აღამიანის მიერ ბუნების დამორჩილების ისტორიაში — კოსმოსური სივრცის ათვისების ერა. მან მთელ მსოფლიოს დაანახვა სოციალისტური წყობილების მძლავრი შემოქმედებითი ძალა.

საბჭოთა მეცნიერებმა უღიდესი წარმატებანი მოიპოვეს აგრეთვე ატომური ენერჯიკის მშვილობიანი მიზნით გამოყენების საქმეშიც. ჩვენს ქვეყანაში აიგო და 1954 წლიდან მუშაობს მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური; შეიქმნა მუხტილი ნაწილაკების ამაჩქარებელი, რომელიც ყველაზე დიდია

მსოფლიოში და აქვს 10 მილიარდი ელექტრონოვოლტი ენერჯია. მიმდინარე წელს მწყობარში ჩაგდა მსოფლიოში ყველაზე დიდი 600 ათასი კილოვატი სიმძლავრის ატომური ელექტროსადგურის პირველი რიგი, რომლის სიმძლავრეა 100 ათასი კილოვატი. ხოლო სულ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა მსოფლიოში პირველი ტურბოელექტრული ატომური ყინულმშრალის „ლენინის“ მშენებლობა. მიმდინარე წლის 12 სექტემბერს ატომური ყინულმშრალი „ლენინი“ ნევიამი შევიდა და ღუსხა ჩაუშვა ლეიტენანტ შმიდტის ხიდთან, სადაც ოქტომბრის რევოლუციის ბიბოქარ დღეებში ლეგენდარული კრესიერი „ავრორა“ იდგა. 15 სექტემბერს კი იგი გავიდა ნაოსნობაში.


მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ამჟამად გეგმარდება ატომური ძრავებით მომუშავე ტანკერები, სატვირთო და სამგზავრო ხომალდები. აშშ-ში იგეგმება სამგზავრო ხომალდი „სავანა“. უკანასკნელ ხანებში აშშ-ში დაიწვეს ატომური ყინულმშრალის დაგეგმარებაც, მაგრამ ამ საუშუაოთა დამთავრებას კიდევ ბევრი დრო სჭირდება.

საბჭოთა კავშირმა ატომური ენერჯიკის გამოყენება ყინულმშრალ ხომალდზე იმითმ დაიწყო, რომელიც


მალდზე იმითმ დაიწყო, რომელიც ენერჯია გემის სწორედ ამ ტიპზე იქნევა მეტად დიდ უპირატესობას. ჩვეულებრივმა ყინულმშრალმა ხშირად უნდა შეიცოს საწვავის მარაგი, ეს კი მევეთად ზღუდავს მისი მუშაობის უნარს. ზოგჯერ დღე-ღამეში იხარჯება 70 ტონამდე თხევადი საწვავი ან დაახლოებით 150 ტონა ნახშირი. საწვავის განუწყვეტლივ შევსების აუტომატბლობა ყინულმშრალებს „მოჩაქვავდა“ მომარაგების ბაზებთან.

პირველი საბჭოთა ატომური ყინულმშრალი ამ მხრზე ძირეულად განსხვავდება ჩვენი წინანდელი ყინულმშრალი ხომალდისაგან. ატომ-ხომალდ ღლე-ღამეში დასჭირდება ბირთვული საწვავის სულ რამდენიმე ათეული გრამი. მის შეუქმლია ბაზებში მუდსეულად იცურის წვლიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, ხოლო საწვავის შეცვლა, ალბათ, ორ წელიწადში ერთხელ დასჭირდება.

ყინულმშრალ „ლენინის“ მშენებლობა დაიწყო 1956 წლის 25 აგვისტოს. ამ საბატიო ამოცანის შესრულება წილად ჰერდინგარდის აღმირილეციის ქარხანას, სადაც 1815 წელს იგებოდა რუსეთში ორთქლის ძრავათი მომუშავე პირველი ხომალდი. გარდა აღნიშნული ქარხნის კოლექტივისა, მშენებლობაში მონაწილეობას ღებულობდა 48 სახალხო მეურნეობის საბჭო, მრავ



ყინულმშრალი „ლენინი“



რეაქტორის კორპუსი (მონტაჟის დროს)

ვალი ქალაქის საწარმო არსებულდა საპატიო დაკეთებს ატომშავალ „ლენინისათვის“. 1957 წლის 5 დეკემბერს, შვენიტობის დაწყებიდან 16 თვის გასვლის შემდეგ, ყინულმტრელი ჩაშვებულ იქნა წყალში, რის შემდეგაც მიმდინარეობდა დასამთავრებელი სამუშაოები.

გვიანტურმა ყინულმტრელმა ქარხანაში გაიზარა ყველა აუცილებელი გამოცდა. გულდასმით იქნა შემოწმებული მისი ცალკეული მექანიზ-


მები და სისტემები, ატომური ენერჯის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ჯგუფმა. ხომალდის შვენებლებთან ერთად გამოსცადეს რეაქტორები და ატომშავლის ენერჯეტული დანადგარი.

ყინულმტრელის ძირითადი მახასიათებლები შემდეგია: სიგრძე — 134 მ, სიგანე — 27,6 მ, სიმაღლე — 44 ათასი ცხენის ძალი. მას შეუძლია განაეითროს სიჩქარე ჩვეულებრივ პირობებში 13 კვანძამდე,

ხოლო ყინულმტრელში ^{ენერჯეტული} ^{გენერატორის} ^{ქარხანის} ^{სამა} ხომალდზე დადგმულია ^{სამა} ბრაზნი. ატომური ენერჯეტული დანადგარის წონა რადიოაქტიური გამოსხივებისაგან დაცვით 30,17 ტონის შეადგენს. მისი წყალშეკა 16 ათასი ტონა, ე. ი. ერთ ტონაზე მოვლის $2\frac{1}{4}$ ცხენის ძალი.

ყინულმტრელზე დადგმულია სამი ატომური რეაქტორი. თითოეული მათგანის სიმაღლეა 90 ათასი ცილოვტი. თითოეულ რეაქტორთანაა ორ-ორი დამოუკიდებელი ორტელის გენერატორი. სამანქანო დარბაზშია 4 ორ-ქალის ტურბინა, რომლებიც აბრუნებენ 8 დინამომანქანას. ისინი დენით კვებულენ გემის ბრაზნებს. მთავარი ოთხფართიანი ხრაზნი მოპარობაში მოჰყავს ძრავას, რომლის სიმაღლეა 20 ათასი ცხენისძალი.

ატომშავალ „ლენინის“ კორპუსი მთლიანშენადუდა. იგი დამზადებულია სპეციალური დიდგამძლე ფოლადისაგან. კორპუსის კონსტრუქ-



რეაქტორის ქრლი: 1—არხები, 2—კორპუსი, 3—ტურბინა, 4—ქვედა ფილა, 5—სახეკავი, 6—სითბოს შემცველის შესასვლელი, 7—სითბოს შემცველის გამოსახვლელი



ცია უზრუნველყოფა ხომალდის საიმედო მუშაობის არქტიკის მძიმე პირობებში.

ყინულმპრელის კონსტრუქციაში



ხომალდის ელექტროსადგურის მართვის პულტი

თავისი გამოხატულება პოვა აკადემიკოს ა. კრილოვის ხომალდის ჩაუძირაობის თეორიამაც. მძლავრი ყინულმპრელის კორპუსი ვაკუფილია თერთმეტი მთავარი გარდიგარდმო წყალშეუღწევი ტიხარით. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ორი რომელიმე მთავარი ნაკვეთური გრაადროულად წყლით აივსება, ხომალდი დაუბრკოლებლად განაგრძობს ცურვას.

ატომშავლის ცენტრალურ ნაწილშია მისი გული სამი ატომური რეაქტორით. ხომალდის ატომურ-ენერგეტიკული დანადგარის დაგეგმარებისას უნდა დაკმაყოფილებულიყო მრავალი რთული და ნაწილობრივ წინააღმდეგობრივი მოთხოვნები — მისი კომპაქტურობა, საიმედოება და შეღარებები მცირე წონა. გარდა ამისა, ჯ დასაწყვეტი იყო რადიაციული უსაფრთხოების პრობლემები ატომშავლის ექსპლოატაციის ყოველგვარ შესაძლო სიტუაციაში.

საჭირო იყო რეაქტორის ისეთი ტიპის დამუშავება და დანადგარის


იმგვარად კონსტრუირება, რომ ყოველგვარი ავარიის შემთხვევაში რადიოაქტიურ ნივთიერებათა გავრცელება შეზღუდული ან შენელებული ყოფილიყო, რათა გამოვვერიცხა ამ ნივთიერებათა სახიფათო კონცენტრაციის წარმოქმნა გარემოში. რეაქტორში გამოყენებულ მასალებს და მისი აქტიური ზონის კონსტრუქციის უნდა გამოერიცხა რადიოაქტიურ ნივთიერებათა თუნდაც უმინიმუმო გამოტყორცნა გაცივების კონტურის სიმკვრივის დარღვევის დროსაც კი. ჩვენმა კონსტრუქტორებმა წარმატებით გადაწყვიტეს ეს ამოცანა. ამ თვალსაზრისით ყინულმპრელის რეაქტორული დანადგარი დ გეგმარებულია მოხერხებულად.

ასეთ საიმედო რეაქტორთა რიცხვს მიეკუთვნება წყალ-წყლის ტიპის რეაქტორი, რომელშიც სითბოს შემცველად და შემნელებლად გამოყენებულია წნევის ქვეშ არსებული წყალი. აქტიურ ზონაში კონსტრუქციული მასალები რადიონობის შესამცირებლად რეაქტორი მოთავსებულია ფოლადის სქელშიან კორპუსში, რომელსაც უნარი შესწევს გაუძლოს წყლის მიმოქცევის წნევას. წყლის კარგი შემნელებელი თვისებების გამო ასეთი რეაქტორის აქ-

ტიური ზონა ფრიალ კომპაქტურად კორპუსის კედლებში ნაწილობრივ დაცეას წარმოადგენს.

ორთქლის გენერატორული დანადგარის წონისა და ზომების შემცირების თვალსაზრისით ხელსაყრელია ერთი მძლავრი რეაქტორის დადგმა, მაგრამ ატომშავლის ექსპლოატაციის საიმედოობისათვის საჭირო შეიქნა ენერჯის ორი დამოუკიდებელი წყაროს, ე. ი. ორი რეაქტორის არსებობა, ასეთ შემთხვევაში რომელიმე მოწყობლობის მწყობრიდან გამოყვანა ან ერთ-ერთ რომელიმე რეაქტორზე ავარიული დაცეის ამოქმედება არ გამოიწვევს ხომალდის სვლის დაკარგვას.

ყინულმპრელის დიდი საიმედოობისათვის კონსტრუქტორებმა გადაწყვიტეს კიდევ ერთი — მესამე რეაქტორის დადგმა. ეს არსებითად სათანადარიგო რეაქტორია. მის დადგმას არ მოყვლია დანადგარის წონისა და გაბარიტების მნიშვნელოვანი ზრდა. მესამე რეაქტორი არასრული სიმძლავრით გამოყენებული იქნება ატომშავლის მხოლოდ მძიმე ყინულებში მუშაობის დროს, როცა ხომალდს სჭირდება მაქსიმალური სიმძლავრე. გარდა ამისა, სათანადარიგო



ორთქლის გენერატორები და მთავარი საციკულაციო ტუმბოები



რეაქტორი იძლევა ორთქლის გენერატორული დანადგარის დროული პროფილაქტიკური დათვლიერებისა და რემონტის საშუალებას მთელი ბირთვული დანადგარის მთლიანად გამოუერთებლობის შემთხვევაში.

რეაქტორი წარმოადგენს ვერტიკალურ ცილინდრულ კორპუსს თვით-მეჭიდრობული ზედა სახურავით, რომელშიც მოთავსებულია აქტიური ზონა რეგულირების ღეროებით. კორპუსი, რომლის გარე დიამეტრია ~ 2 მ და სიმაღლე ~ 5 მ, დამზადებულია დაბალეგირებული დიდაგამძლე ნახშირბადოვანი ფოლადისაგან. მაღალი ტემპერატურის მქონე წყლისაგან კოროზიული ზემოქმედების აცავის მიზნით კორპუსს შიგნით

ჩადგმულია უცანგავი ფოლადისაგან დამზადებული რაკისებრი ფურცელი.

ატომშავალზე მოწყობილია ოთხი ერთი და ორი პლატფორმა. კიჩოს ნაწილში არის შევუღმფრენის ასაფრენ-დასაყდომი მოედანი და ანგარი. ყინულმჭრელის შტურმანის სამსახურის განკარგულებაშია ყველაზე თანამედროვე სანაევიგაციო საშუალებანი, ელექტრონული ავტომატიკა საიმედოდ უზრუნველყოფს ატომშავლის მოძრაობას მოცემული კურსით ყოველგვარ მეტეოროლოგიურ პირობებში, ზღვის ყოველგვარ მდგომარეობაში. შტურმანის ჯიხური აღჭურვილია უახლესი ხელსაწყობით. გარემო პირობების დაკვირვებისა და ყველაზე უარეს ნაოსნო ამოცანების გადასაწყვეტად შტურმანში გამოიყენებენ ხომალდზე არსებულ რადიოოკეანურ სადგურებს.



